პროლეტარებო, უფლება ძვეუნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 2 ნოემბერი, 1943 წ. № 228 (6853). ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს კაცობრიობის უბოროტეს მტრებზე—გერმანელ ფაშისტ დამმონებლებზე ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო კავშირის გამარჯვებას! მოგვახმაროთ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მთელი ძალ-ღონე და საბრძოლო ძლიერება ჰიტლერული გერმანიის რაც შეიძლება მალე განადგურებას!

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისადმი

ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომუნიკე სამი მინისტრის მოსკოვის კონფერენციის შესახებ

1943 წლის 19-დან 30 ოქტომბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა კონფერენცია საგარეო საქმეთა მინისტრების — ამერიკის შეერთებული შტატების — ბ-ნ კ. ჰელისა, შეერთებული სამეფოსი—ბ-ნ ა. იდენისა და საბჭოთა კავშირის — გ. მ. მოლოტოვისა; კონფერენციას 12 სხდომა ჰქონდა.

გარდა მინისტრებისა, კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ: ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან — შეერთებული შტატების ელჩი ვ. ავერელ ჰარიმანი, გენერალ-მაიორი ჯონ რ. დინი შეერთებული შტატების არმიიდან, ბ-ნი გრინ ხ. ჰეკვორტი, ბ-ნი ჯემს დანნი და ექსპერტები, შეერთებული სამეფოს მხრიდან — მისი უდიდებულესობის ელჩი სერ არჩიბალდ კლარკ კერი, ბ-ნი ვილიამ სტრენგი, გენერალ-ლეიტენანტი სერ ჰესტინგს ისმეი და ექსპერტები

და საბჭოთა კავშირის მხრიდან — მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილენი — ა. ი. ვიშინსკი და მ. მ. ლიტვინოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ვ. ა. სერგეევი, გენერალური შტაბიდან — გენერალ-მაიორი ა. ა. გრიზლოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკი გ. ფ. საქსინი და ექსპერტები.

დღის წესრიგი შეიცავდა ყველა საკითხებს, რომლებიც კი განსახილველად დაყენებული იყო სამი მთავრობის მიერ. ზოგიერთი ამ საკითხთაგანი საჭიროებდა საბოლოო გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულ იქნა კიდეც. სხვა საკითხებზე, განხილვის შემდეგ, მიღებულ იქნა ძირითადი პრინციპები იმ ვარაუდით, რომ მათი დეტალური დამუშავება მოხდეს დიპლომატიური წესით ან საამისოდ სპეციალურად შექმნილ კომისიებში. დანარჩენი საკითხები მხოლოდ აზრთა ურთიერთგაზიარებას გულისხმობდნენ.

საბჭოთა კავშირის, შეერთებული სამეფოს და შეერთებული შტატების მთავრობამ მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან ყველა საკითხში, რომლებიც საერთო საომარი ღონისძიების განხორციელებას შეეხება. მიუხედავად ამისა, მთავრობათა საგარეო საქმეთა მინისტრებმა პირველად მოახერხეს თათბირის ჩატარება.

პირველ რიგში მოხდა ამომწურავი და გულწრფელი დისკუსია იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უნდა იქნას მიღებული გერმანიისა და ევროპაში მისი სატელიტების წინააღმდეგ ომის ვადების შესამცირებლად. გამოყენებულ იქნა სამხედრო მრჩევლების დასწრება, რომლებიც წარმოადგენენ გენერალური შტაბების სათანადო უფროსებს, იმისათვის, რომ განხილული ყოფილიყო გარკვეული საომარი ოპერაციები, რომელთა შესახებაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი და რომლებიც უკვე მზადდება, და იმისათვის, რომ შეიქმნას ბაზა სამ ქვეყანას შორის უმჭიდროესი სამხედრო თანამშრომლობისათვის მომავალში.

სამმა მთავრობამ უპირველეს მიზნად სცნო ომის დასასრულის დაჩქარება და ერთსულოვანი აღმოჩნდა აგრეთვე იმაში, რომ მათი საკუთარი ნაციონალური ინტერესებისათვის და ყველა მშვიდობისმოყვარე ერის ინტერესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს განგრძობილ იქნას ომის საწარმოებლად დამყარებული ახლანდელი მჭიდრო თანამშრომლობა იმ პერიოდშიც, რომელიც მოჰყვება საომარი მოქმედების დამთავრებას, და რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება მიღწეულ იქნას მშვიდობიანობის დაცვა და პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური კეთილდღეობის სრული განვითარება მათი ხალხებისა.

ეს რწმენა განსახიერებულია დეკლარაციაში, რომელსაც უკვე კონფერენციის დროს შეუერთდა ჩინეთის მთავრობა და რომელსაც ხელი მოაწერეს სამმა მინისტრმა და ჩინეთის მოსკოველმა ელჩმა თავიანთი მთავრობების სახელით. დღეს გამოქვეყნებული ეს დეკლარაცია, ითვალისწინებს რა კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ომის წარმოებაში და ყველა საკითხში, რაც კი ეხება კაპიტულაციასა და განიარაღებას მტრებისას, რომლებთანაც ოთხი სახელმწიფო შესაბამისად იმყოფება ომში,—აწესებს პრინციპებს, რაზედაც ოთხი მთავრობის შეთანხმებით უნდა იქნას დამყარებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და უშიშროების ფართო სისტემა. გათვალისწინებულია, ამ სისტემაში შეყვანილ იქნას ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, დიდი და პატარა.

კონფერენცია დათანხმდა, რომ საჭიროა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც უზრუნველჰყოფს სამ მთავრობას შორის უმჭიდროეს თანამშრომლობას ომის განვითარებიდან წარმომდგარ ევროპულ საკითხთა შესწავლისას. ამ მიზნით კონფერენციამ გადასწყვიტა შეჰქმნას ევროპის საკონსულტაციო კომისია ამ საკითხების შესასწავლად და სამი მთავრობისათვის ერთობლივი რეკომენდაციების შესამუშავებლად; ამ კომისიის ადგილ-სამყოფელი იქნება ლონდონი.

გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ საჭიროების მიხედვით უზრუნველყოფილ იქნას სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონსულტაციების განგრძობა არსებული დიპლომატიური არხების საშუალებით სათანადო დედაქალაქებში.

შემდეგ მინისტრებმა გადასწყვიტეს შეჰქმნან იტალიის საკითხებზე საკონსულტაციო საბჭო, რომელიც თავდაპირველად შედგენილი იქნება სამი მთავრობისა და საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლებისაგან. გათვალისწინებულია, შეყვანილ იქნან ამ საბჭოში საბერძნეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები იმ განსაკუთრებული ინტერესის გამო, რომელიც გამომდინარეობს ფაშისტური იტალიის აგრესიიდან მათი ტერიტორიების მიმართ ამ ომის დროს. ეს საბჭო იმუშავებს ყოველდღიურ საკითხებზე, გარდა საომარი ოპერაციებისა, და ჩამოაყალიბებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართული იქნება იტალიისადმი მოკავშირეთა პოლიტიკის კოორდინაციისაკენ.

ამასთან საგარეო საქმეთა სამმა მინისტრმა მიზანშეწონილად სცნო დაადასტურონ დღეს გამოქვეყნებული დეკლარაციით მათი მთავრობების პოზიცია იტალიაში დემოკრატიის აღდგენის სასარგებლოდ.

მინისტრებმა გამოაცხადეს აგრეთვე, რომ მათი მთავრობების მიზანია ავსტრიის დამოუკიდებლობის აღდგენა. ამასთან ერთად მათ მოაგონეს ავსტრიას, რომ საბოლოო მოწესრიგებისას მხედველობაში იქნება მიღებული ის ღონისძიებანი, რომლებიც ავსტრიას შეუძლია იხმაროს თავისი საკუთარი განთავისუფლებისათვის. დეკლარაცია ავსტრიის შესახებ ქვეყნდება.

მინისტრებმა კონფერენციის დროს გამოაქვეყნეს პრეზიდენტ რუზველტის, პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის და საბჭოთა მთავრობის მეთაურ სტალინის დეკლარაცია; იგი შეიცავს საზეიმო გაფრთხილებას, რის თანახმადაც გერმანიის ყოველ მთავრობასთან დროებითი ზავის დადებისას ის გერმანელი ოფიცრები, ჯარისკაცები და ჰიტლერული პარტიის წევრები, რომლებსაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ მხეცობასთან, მკვლელობასთან და სიკვდილით დასჯასთან გერმანიის შეიარაღებული ძალების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, მოყვანილ იქნებიან უკან იმ ქვეყნებში, სადაც მათ მიერ ჩადენილი იყო საშინელი დანაშაული, იმისათვის, რომ მათ ბრალდება წაუყენონ და დასაჯონ ამ ქვეყნების კანონების მიხედვით.

ურთიერთნდობისა და გაგების ატმოსფეროში, რაც კონფერენციის მთელ მუშაობას ახასიათებს, განხილულ იქნა სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც როგორც მიმდინარე ხასიათისა, ისე ის საკითხები, რომლებიც შეეხება მომავალში ჰიტლერულ გერმანიასთან და მის სატელიტებთან მოპყრობას, ეკონომიურ თანამშრომლობას და საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფას.

დეკლარაცია ოთხი სახელმწიფოს საყოველთაო უშიშროების საკითხზე

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მთავრობანი,

გაერთიანებულნი თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილებით — გაერთიანებული ერების 1942 წლის 1 იანვრის დეკლარაციისა და შემდგომი დეკლარაციების შესაბამისად განაგრძონ საომარი მოქმედება ღერძის იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებთანაც ისინი შესაბამისად იმყოფებიან ომის მდგომარეობაში, სანამ ეს სახელმწიფოები უსიტყვო კაპიტულაციის საფუძველზე არ დაჰყრიან თავიანთ იარაღს;

გრძნობენ რა თავიანთ პასუხისმგებლობას აგრესიის საფრთხისაგან საკუთარი თავისა და თავიანთი მოკავშირე ხალხების განთავისუფლების უზრუნველყოფის საქმეში;

სცნობენ რა იმის საჭიროებას, რომ უზრუნველყოფილ იქნას სწრაფი და ორგანიზებული გადასვლა ომიდან მშვიდობიანობაზე, რომ დამყარდეს და დაცულ იქნას საერთაშორისო მშვიდობიანობა და უშიშროება, რომ ამასთან მსოფლიოს ადამიანთა და ეკონომიური რესურსები რაც შეიძლება ნაკლებად იქნან გამოყენებულნი შეიარაღებისათვის;

ერთობლივად აცხადებენ:

1. რომ მათი ერთობლივი მოქმედება, მიმართული მათი სათანადო მტრების წინააღმდეგ ომის წარმოებისაკენ, განგრძობილი იქნება მშვიდობიანობისა და უშიშროების ორგანიზებისა და დაცვისათვის.

2. რომ იმათგანნი, ვინც ომში იმყოფება საერთო მტრებთან, ერთობლივად იმოქმედებენ ყველა საკითხში, რომლებიც შეეხება ამ სათანადო მტრების კაპიტულაციასა და განიარაღებას.

3. რომ ისინი მიიღებენ ყველა იმ ზომებს, რომლებიც მათ საჭიროდ მიაჩნიათ თავიანთი მოწინააღმდეგეებისათვის წაყენებული პირობების ყოველი დარღვევის წინააღმდეგ.

4. რომ ისინი საჭიროდ სთვლიან რაც შეიძლება მოკლე ხანში შეიქმნას საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაცია საერთაშორისო მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაცავად, დამყარებული ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობის პრინციპზე, — ორგანიზაცია, რომლის წევრებადაც შეიძლება იყვნენ ყველა ასეთი სახელმწიფონი — დიდნი და პატარანი.

5. რომ ისინი კონსულტაციას გასწევენ ერთმანეთთან და იმის მიხედვით, თუ როგორ მოითხოვენ გარემოებანი, — გაერთიანებული ერების სხვა წევრებთან, ამასთან მხედველობაში იღებენ ერთობლივს მოქმედებას ერების თანასაზოგადოების ინტერესებისათვის საერთაშორისო მშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვის მიზნით, სანამ კანონი და წესრიგი არ იქნება აღდგენილი და სანამ საყოველთაო უშიშროების სისტემა არ იქნება დამყარებული.

6. რომ ომის დამთავრების შემდეგ ისინი არ გამოიყენებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, თუ არა ერთობლივი კონსულტაციის შემდეგ და ამ დეკლარაციით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

7. რომ ისინი ითათბირებენ და ითანამშრომლებენ ერთმანეთთან და გაერთიანებული ერების სხვა წევრებთან ამისათვის, რომ მიღწეულ იქნას შესაძლებელი განხორციელება საყოველთაო შეთანხმებისა ომისშემდგომ პერიოდში შეიარაღების მოწესრიგებაზე.

ვ. მოლოტოვი
კორდელ ჰელი
ანტონი იდენი
ფუ ბინ-ჩანი

მოსკოვი, 1943 წ. 30 ოქტომბერი.

დეკლარაცია იტალიის შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოს და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ცხადჰყვეს, რომ სამი მათი მთავრობა სავსებით თანახმაა, რომ მოკავშირეთა პოლიტიკა იტალიის მიმართ უნდა ეყრდნობოდეს ძირითად პრინციპს:

ფაშიზმი და მთელი დამღუპველი მისი გავლენა და შედეგები საფსებით უნდა იქნას მოსპობილი, და იტალიელ ხალხს უნდა მიენიჭოს სრული შესაძლებლობა — შეჰქმნას დემოკრატიის პრინციპებზე დამყარებული სამთავრობო და სხვა დაწესებულებანი. ამერიკის შეერთებული შტატების და შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრები აცხადებენ, რომ მათი მთავრობების საქმიანობა იტალიის ტერიტორიაზე შეჭრის დასაწყისიდანვე ამ პოლიტიკაზე იყო დაფუძნებული, რამდენადაც გარდუვალი საომარი მოთხოვნები ამის შესაძლებლობას იძლეოდნენ.

სამი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ მომავალში ამ პოლიტიკის განხორციელებისას დიდი მნიშვნელობა აქვს დაცხოვრებაში უნდა გატარდეს შემდეგი ზომები:

1. აუცილებელია, რათა იტალიის მთავრობა გახდეს უფრო დემოკრატიული, იტალიელი ხალხის იმ ფენების წარმომადგენელთა შეყვანით, რომლებიც მუდამ გამოდიოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ.

2. სიტყვის, სარწმუნოების, პოლიტიკური მრწამსის, პრესისა და კრების თავისუფლება სავსებით დაუბრუნდება იტალიელ ხალხს, რომელსაც უნდა ჰქონდეს აგრეთვე უფლება შეჰქმნას ანტიფაშისტური პოლიტიკური ჯგუფები.

3. ფაშისტური რეჟიმის მიერ შექმნილი ყველა დაწესებულება და ორგანიზაცია გაუქმებულ უნდა იქნას.

4. ყველა ფაშისტური და პროფაშისტური ელემენტები განდევნილ უნდა იქნან მართვა-გამგეობიდან ან საჯარო ხასიათის დაწესებულებებიდან და ადმინისტრაციიდან.

5. ფაშისტური რეჟიმის ყველა პოლიტიკური პატიმარი განთავისუფლებულ უნდა იქნას და მათ სრული ამნისტია უნდა მიეცეს.

6. უნდა შეიქმნას ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიული ორგანოები.

7. ფაშისტთა მეთაურები და სხვა პირები, რომელნიც ცნობილნი ან ეჭვმიტანილნი არიან სამხედრო დანაშაულის ჩადენაში, უნდა იქნან დაპატიმრებულნი და მართლმსაჯულების ხელში გადაცემულნი.

გამოდის რა ამ დეკლარაციით, სამი საგარეო საქმეთა მინისტრი სცნობს, რომ ვიდრე იტალიაში აქტიური საომარი ოპერაციები გაგრძელდება, დრო, როცა შესაძლებელი იქნება ზემოაღნიშნული პრინციპების მთლიანად განხორციელება, უნდა განსაზღვროს მოკავშირეთა მთავარსარდალმა იმ მითითებათა საფუძველზე, რომელსაც იგი გაერთიანებული შტაბის საშუალებით მიიღებს. ამ დეკლარაციის ხელისმომწერი სამი მთავრობა ყოველი მათგანის თხოვნით მოეთათბირება ერთმანეთს ამ საკითხზე.

მიღებულია აგრეთვე მხედველობაში, რომ ამ დეკლარაციაში არაფერი არ ზღუდავს იტალიელი ხალხის უფლებას — აირჩიოს შემდეგში თავისი საკუთარი ფორმა მმართველობისა.

დეკლარაცია ავსტრიის შესახებ

შეერთებული სამეფოს, საბჭოთა კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები შეთანხმდნენ, რომ ავსტრია, პირველი თავისუფალი ქვეყანა, რომელიც ჰიტლერული აგრესიის მსხვერპლი გახდა, განთავისუფლებულ უნდა იქნას გერმანელთა ბატონობისაგან.

იმათ არარსებულად და არანამდვილად მიაჩნიათ შემოერთება, რომელიც იძალადა ავსტრიას თავს მოახვია გერმანიამ 1938 წლის 15 მარტს. იმათ არავითარ შემთხვევაში არ მიაჩნიათ თავი შებოჭილად რაიმე ცვლილებებით, რომლებიც მოხდენილ იქნა ავსტრიაში ამ თარიღის შემდეგ. ისინი აცხადებენ, რომ მათ სურთ აღდგენილი იხილონ თავისუფალი და დამოუკიდებელი ავსტრია და ამით შესაძლებლობა მისცენ თვით ავსტრიელ ხალხს, ისევე როგორც სხვა მეზობელ სახელმწიფოებს, რომელთა წინაშეც დადგება ამგვარივე პრობლემები, გამონახონ ის პოლიტიკური და ეკონომიური უშიშროება, რომელიც მტკიცე მშვიდობიანობის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს.

მაგრამ ავსტრიის ყურადღება მიექცევა იმას, რომ მას ჰიტლერული გერმანიის მხარეზე ომში მონაწილეობისათვის აწევს პასუხისმგებლობა, რასაც თავიდან ვერ აიცილებს, და რომ საბოლოო მოწესრიგებისას აუცილებლად მხედველობაში იქნება მიღებული ავსტრიის საკუთარი წვლილი თავის განთავისუფლების საქმეში.

დეკლარაცია ჰიტლერელთა მიერ ჩადენილი მხეცობისათვის მათი პასუხისმგებლობის შესახებ

დიდმა ბრიტანეთმა, შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა სხვადასხვა წყაროდან მიიღეს დამადასტურებელი ცნობები იმ მხეცობისა, მკვლელობისა და გულგრილად სიკვდილით დასჯისა, რასაც სჩადიან ჰიტლერელთა შეიარაღებული ძალები მათ მიერ დაპყრობილ ბევრ ქვეყანაში, საიდანაც ახლა მათ განუხრელად მიერეკებიან. ჰიტლერული ბატონობის სისასტიკე ახალი ფაქტი არ არის, და მათს ძალაუფლებაში მყოფი ყველა ხალხი ან ტერიტორია იტანჯებოდა ტერორის საშუალებით მმართველობის ყველაზე უარესი ფორმისაგან. ახალი იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი ამ ტერიტორიათაგანი ახლა თავისუფლდება განმათავისუფლებელ საომარ ძალებისაგან, რომლებიც წინ მიიწევენ, და რომ სასოწარხელმწიფოთა არმიების მიერ, რომლებიც ჰიტლერელი ჰუნები აორკეცებენ თავგეთილებით მოცულნი, უკანდახეული ჰიტლერელი ჰუნები აორკეცებენ თავიანთ ულმობელ სისასტიკეს. ამას ახლა განსაკუთრებული სიცხადით მოწმობენ ფაქტები საშინელი დანაშაულისა, რასაც სჩადიან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რომელიც თავისუფლდება ჰიტლერელებისაგან, აგრეთვე საფრანგეთისა და იტალიის ტერიტორიაზე.

ზემოთქმულის შესაბამისად, სამი მოკავშირე სახელმწიფო, გამოდის რა ოცდათორმეტი გაერთიანებული ერის ინტერესებისათვის, საზეიმოდ აცხადებს და გაფრთხილებას იძლევა თავისი ქვემოთმოყვანილი დეკლარაციით: ყოველგვარი დროებითი ზავის დადებისას ყოველ მთავრობასთან, რომელიც შეიძლება შეიქმნას გერმანიაში, ის გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები და ნაცისტური პარტიის წევრები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ზემოაღნიშნული მხეცობისა, მკვლელობისა და სიკვდილით დასჯისათვის, ან ნებაყოფლობით იღებდნენ მათში მონაწილეობას, უკან გაიგზავნებიან იმ ქვეყნებში, სადაც ჩადენილი იყო მათი საზიზღარი მოქმედება, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მათი გასამართლება და დასჯა ამ გასამართლებულ ქვეყნებისა და იმ თავისუფალი მთავრობების კანონთა შესაბამისად.

მოსკოვი, 1943 წ. 30 ოქტომბერი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

1 ნოემბრის განმავლობაში მდინარე დნეპრისა და სივაშის სანაპიროს შუა მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ უკანდახეული მოწინააღმდეგის დევნას და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: დიდი დასახლებული პუნქტები — ნიკოლაევკა, მარინსკი, ზაპადნიე კაირი, ლიუბიმოვკა, ჩერნინკა, პროპოგრადოვნკა, მაკაროვკა, პერვო-კონსტანტინოვკა, სტროგანოვკა, პერეკოპი, ივანოვკა, ნოვო-ნიკოლაევკა, ნოვაია პოკროვკა, გრიმოვკა. გლაგოლევჩინკა, ზახაროვკა, ნოვაია დმიტრიევკა, და რკინიგზის სადგური სალკოვო. პერეკოპის ყელზე ჩვენმა ჯარებმა სწრაფი დარტყმით უკუაგდეს პირისპირ მდგომი მტრის ნაწილები, გადალახეს თურქული ზღუდე და გაიჭრნენ არმიანსკისაკენ. ამგვარად ჩვენმა ჯარებმა გადაუჭრეს ხმელეთით უკანდასახევი გზები მოწინააღმდეგის იმ ჯარებს, რომლებიც ყირიმში იმყოფებიან. ჩვენი ჯარების დარტყმების გამო მოწინააღმდეგე სწრაფად იხევს უკან და მოსდის უდიდესი ზარალი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ჩვენმა ჯარებმა მარტო 31 ოქტომბრისა და 1 ნოემბრის განმავლობაში ტყვედ ჩაიგდეს მოწინააღმდეგის 6 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

დნეპრის მოსახვევში, **დნეპროპეტროვსკის** სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენმა ჯარებმა ხლიეს მტრის წინააღმდეგობა, განაგრძობდნენ შეტევას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

კრივოი როგის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის ქვეითთა ჯარის და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშების მოგერიებას.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე გაძლიერებული ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა სწარმოებდა.

31 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტებზე დააზიანეს და მოხპეს გერმანელთა 85 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 17 თვითმფრინავი.

* * *

მდინარე დნეპრსა და სივაშის სანაპიროს შუა მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. 6 შენაერთის ნაწილები გარსშემოერტყნენ გერმანელთა ჯარების ჯგუფს და ეწევიან ბრძოლებს მათ მოსასპობად. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოსდის. არასრული ცნობებით, გაფლეთილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 29 ტანკი, 5 თვითმავალი და 28 საველე ქვემეხი. გერმანელებს წვავრთვით 60 ქვემეხი, რამდენიმე თვითმავალი ზარბაზანი, მრავალი ავტომანქანა და სატვირთო, 7 საწყობი საომარ მასალიანად და სურსათიანად. 31 ოქტომბრისა და 1-ლი ნოემბრის განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 6.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჰერეკოპის ყელზე ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ და მიადგნენ თურქულ ზღუდეს. გერმანელებს თურქული ზღუდის ზოლში მრავალი ტრანშეა და სანგარი ჰქონდათ აგებული. ისინი ამ უძლიერეს პოზიციებს ეყრდნობოდნენ და ვარაუდობდნენ, რომ ჩვენს შემტევ ჯარებს შეაჩერებდნენ. ჩვენმა მებრძოლებმა მძაფრი დარტყმით უკუაგდეს მოწინააღმდეგე, გადალახეს თურქული ზღუდე და გაიჭრნენ ქალაქ არმიანსკისაკენ. საბჭოთა ჯარებმა ამ გამარჯვებით ახლა ჩაუკეტეს და გადაუჭრეს ხმელეთით უკანდასახევი ყველა გზა მოწინააღმდეგის იმ ჯარებს, რომლებიც ყირიმში იმყოფებიან.

* * *

დნეპრის მოსახვევში, ქალაქ დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთით, 6 შენაერთის ნაწილები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, წინ მიიწევდნენ და გერმანელი ფაშისტი დამჭყრობლებისაგან გაათავისუფლეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ერთ-ერთი ამ დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლებში ჩვენმა არტილერისტებმა და ჯავშანმტვრეველებმა დააზიანეს და დასწვეს გერმანელთა 8 ტანკი და 6 თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდის“ ტიპისა. მოწინააღმდეგმ ბრძოლის ველზე დატოვა 400-ზე მეტი გვამი, 16 საველე ქვემეხი და 22 ნაღმსატყორცნი და უკან დაიხია. სხვა უბანზე გერმანელებმა შეაგროვეს თავიანთი შებერტყილი ნაწილები და კონტრიერიშზე გადმოიყვანეს. ჩვენმა მებრძოლებმა ახლო მანძილზე მოუშვეს ჰიტლერელები, შემდეგ კი ნაღმსატყორცნებისა და თოფ-ტყვიამფრქვევების კონცენტრირებული ცეცხლი დაატეხეს მათ. მოწინააღმდეგემ ამ ბრძოლაში 900-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა და უწესრიგოდ დაიხია უკან. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები.

* * *

კრივოი როგის მიმართულებით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშებს. ერთ უბანზე გერმანელებმა კონტრიერიშზე გადმოიყვანეს 100-მდე ტანკი, რომლებსაც თვითმავალი ქვემეხები და მოტოქვეითი ჯარი ეხმარებოდნენ. გაფთრებული ბრძოლის შედეგად, რაც მთელ დღეს გრძელდებოდა, ჩვენმა მებრძოლებმა მძიმე ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს. მოსპობილია გერმანელთა 42 ტანკი, 7 თვითმავალი ქვემეხი და მრავალი ავტომანქანა. გაფლეთილია მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე მოტოქვეითი ჯარი. სხვა უბანზე 5 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს არაერთგზისი კონტრიერიშები ჰიტლერელებისა, რომლებიც ცდილობდნენ ერთი დასახლებული პუნქტისაკენ გამოჭრილყვნენ. ბრძოლის ველზე მტრის 400-ზე მეტი გვამი დარჩა.

* * *

ეიტომირის რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა დანაღმა რკინიგზის დიდი უბანი. გერმანელთა ეშელონი, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მოდიოდა, ნაღმებს წააწყდა და გზაზე გადაიჩეხა. დაიმსხვრა ორთქლმავალი, 12 ვაგონი და 10 პლატფორმა სამხედრო მასალიანად. მატარებელთა მოძრაობა რკინიგზის ამ უბანზე რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში იყო შეწყვეტილი. პარტიზანების ამავე ჯგუფმა სხვა რაიონებში მოაწყო გერმანელთა სამხედრო ეშელონის მარცხი. დაიმტვრა 19 პლატფორმა შორსმსროლ ქვემეხებიანად და 2 ვაგონი საომარ მასალიანად. ნაღმებზე აფეთქდა აგრეთვე მარცხის ადგილისაკენ წასული საავარიო-აღმდგენი მატარებელი.

* * *

გერმანელთა უმაღლესი სარდლობის შტაბისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ პირველ საბრძოლო რაზმში შემავალი თვითმფრინავის გერმანელმა პილოტმა, ტყვედ წამოყვანილმა ლეიტენანტმა ჰაინც ტელემ განაცხადა: „მე საფრენოსნო სკოლა 1943 წლის აგვისტოში დავამთავრე. სკოლადამთავრებულთა უმრავლესობა აღმოსავლეთის ფრონტზე გამოჰგზავნეს, მე ერთ ხანს გერმანიაში ვრჩებოდი და მხოლოდ 15 ოქტომბერს მოვედი კიევში. მხოლოდ ორი საბრძოლო გაფრენა მოვახდინე. მერე გაფრენა ჩემთვის უკანასკნელიც აღმოჩნდა. რუსებმა ჩამოგდეს თვითმფრინავი. მე კი ტყვედ ჩამიგდეს ხელში. საამუნაბარო ბედი ეწია ჩემს ამხანაგებსაც. სკოლის დამთავრების შემდეგ მე მიწერ-მოწერა მქონდა ექვს მფრინავთან, რომლებთანაც ერთ კლასში ვსწავლობდი. მიწერ-მოწერა დიდ ხანს არ გაგრძელებულა — ხუთი მათგანი უკვე დაიღუპა საჰაერო ბრძოლებში, მეექვსემ კი ფეხი დაჰკარგა და ჰოსპიტალში წევს. გერმანელი ოფიცრების ძნიშვნელოვან ჯგუფში ამ უკანასკნელ ხანს, ის აზრი სუფევს, რომ გერმანიამ ომი წააგო. ამ აზრს იზიარებს იმ მფრინავთა ნაწილიც, რომელსაც მე ფრონტზე ვხვდებოდი.“

* * *

მიღებულია ცნობა ახალი მხეცობის შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ჩაიდინეს ეიტომირის ოლქის ქალაქ ოლევსკში. ამ ცოტა ხნის წინათ ჰიტლერელებმა ქალაქში ხალხი მასობრივად დაიკავეს. შეიპყრეს 125 ადგილობრივი მცხოვრები, რომლებიც პირველად მოხვდათ ხელში, მათ შორის ქალები და ბავშვები, და დახვრიტეს. 12-დან 18 ოქტომბრამდე ფაშისტმა მტარვალებმა ხალხი მასობრივად დაიპატიმრეს ახლომახლო სოფლებში ეუბროვიჩში, ლოპატიჩში, ბოლიარკაში, რუდნიაში. ბისტრაიაში და სხვაგან. დაპატიმრებულნი ოლევსკის საპყრობილეში გაჰგზავნეს, სადაც გესტაპოელებმა ისინი აწამეს. 18 ოქტომბერს ჰიტლერელმა ჯალათებმა დაპატიმრებულთა ჯგუფი დახვრიტეს რკინიგზის ხიდის მახლობლად. მოკლულია 100-ზე მეტი სრულიად ოდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქე.

რესპუბლიკური თათბირი მეცხოველეობის საკითხებზე

ა. წ. 30-31 ოქტომბერს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შეიკრიბა რაიონების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური თათბირი მეცხოველეობის საკითხებზე.

მოხსენებით საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების ღონისძიებათა და საქონლის გამოზამთრებისათვის მზადების შესახებ გამოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ს. გ. ხოშტარია.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. კ. ი. მურჯიკნელმა (ბაშკიჩეთის რაიონი), გ. დ. ბაქრაძემ (თბილისის რაიონი), მ. დ. ბუჯიაშვილმა (ბორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ი. ფ. კვესიტაძემ (მიწსახკომი), ლ. ნ. გორგიძემ (წულკიძის რაიონი), კ. ი. ჯაფარიძემ (მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი), ი. პ. ყუჯიაშვილმა (ყარაიის რაიონი), პროფ. ი. ი. ჰრიცკერმა (მიწსახკომი), გ. ზ. დევიძემ (ქარელის რაიონი), მ. მ. ქართველიშვილმა (ცხუთის რაიონი), აკადემიკოსმა ნ. ნ. კეცხოველმა, ვ. ვ. მირიანაშვილმა (წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ი. დ. კოჭლამაზაშვილმა (საქართველოს სს რ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

31 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

31 ოქტომბრის განმავლობაში მდინარე დნეპრსა და სივაშის სანაპიროს შუა მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები წარმატებითს შეუტევს განაგრძობდნენ და 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მოწინააღმდეგე სასწოაფოდ იგებულ თავდაცვითს ზღუდეებს ეყრდნობოდა და ფეხის მოკიდებას ცდილობდა, რომ დრო მოეგო და წესრიგში მოეყვანა თავისი დეზორგანიზებული ჯარები. ერთ უბანზე ჰიტლერელებმა კონტრიერიშზე გადმოსვლაც კი სცადეს, მაგრამ 16 ტანკი და მარტო მოკლულთა სახით 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი რომ დაკარგეს, სწრაფად უკუიქცნენ. საბჭოთა მოძრავმა ნაწილებმა მტრის წინააღმდეგობა გასტეხეს და სწრაფად განაგრძეს წინსვლა. გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულია ზაპოროჟიეს ოლქის რაიონული ცენტრები სივაშსკოე (როჟდესტვენკა), ნოვო-ტროიცკოე და ბევრი სხვა დიდი დასახლებული პუნქტი. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე რკინიგზის სადგურები პარტიზანი და ნოვო-ალექსეევკა. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოსდის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. გერმანელები, რომელთაც ჩვენი ჯარები მისდევენ, უკან იხევენ, ჰყრიან არტილერიას, საომარ მასალას, ქვეითი ჯარის საჭურველსა და სამხედრო ქონებას. წამოყვანილია დიდძალი ტყვე.

* * *

დნეპრის მოსახვევში, ქალაქ დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთით, 6 შენაერთის ნაწილებმა მტრის წინააღმდეგობა გასტეხეს და დაიკავეს რკინიგზის სადგური კუდაშევკა. სადგურისთვის ბრძოლაში მოსპობილია 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და წამოყვანილია ტყვეები. სხვა ჩვენმა შენაერთმა მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშები მოიგერია და რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტიდან განდევნა გერმანელები. მოსპობილია ჰიტლერელთა ერთ ბატალიონამდე ჯარი, მოწინააღმდეგის 4 ტანკი, 3 თვითმავალი და 10 საველე ქვემეხი. ერთ უბანზე, მდინარე დნეპრზე, გერმანელებმა სცადეს დესანტი გადმოესხათ ჩვენი ჯარების ზურგში. მოწინააღმდეგის განზრახვა ჩაშლილ იქნა. ჩვენმა მებრძოლებმა 500-ზე მეტი გერმანელი შეაგზომატე მოსპეს და დიდძალი ნავი და კატერი ჩასძირეს. ხელთ ვიგდეთ 3 ვაგონი კატერი, 3 მოტორიანი ნავი და სხვა დაფლა.

ჩვენი მფრინავები მოწინააღმდეგის ჯარებს ურტყამდნენ და მოსპეს 100-მდე ავტომანქანა, რამდენიმე ბენზინმიმწოდებელი, ააფეთქეს 3 საწყობი საომარი მასალა და 2 საწყობი საწვავი.

* * *

ჩრდილო კავკასიის როგის მიმართულებით ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს იგერიებდნენ. გერმანელებმა ვიწრო უბანზე თავი მოუყარეს ქვეითი ჯარის დიდ ძალებს და რამდენიმე სატანკო დივიზიას, რომლებიც კონტრიერიშებზე გადმოჰყავთ. ამ ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოსდის. ჩვენმა გვარდიელებმა მტრის 6 შენაერთის უბანზე მტრის 30 ტანკი დაზარანეს და დასწვეს და 1.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. სხვა უბანზე საბჭოთა არტილერისტებმა და ჯავშანმტვრევლებმა გერმანელთა 14 ტანკი და 40 ავტომანქანა მოსპეს. 6 ნაწილის ტანკისტებმა ორი დღის ბრძოლებში მოწინააღმ-

ფრონტი

გერმანიის ზურგში ნგრევა და დეზორგანიზაციაა

გერმანიის საწარმოებში მუშები მოიძანცნენ

ჟენევა, 31 ოქტომბერი (საკადესი). ჰიტლერული გაზეთი „ფოლკიშერ ბეობახტერი“ აღნიშნავს, რომ ბევრ საწარმოში მუშები გადატვირთული არიან სხვადასხვა სპეციალური

გერმანიის ქალაქებში მოსახლეობის მოგზარაგება დეზორგანიზებულია

სტოკჰოლმი. 31 ოქტომბერი (საკადესი). გერმანული ფაშისტური გაზეთი „ბერლინერ ბერზენციატუნგი“ ეხება მდგომარეობას, რომელიც გერმანიის დაბომბილ ქალაქებში შექმ[illegible], და აღიარებს, რომ ამ ქალაქების მეტ ნაწილში ვაჭრობა დეზორგანიზებულია, საბა-

გერმანიაში ფართო მოხმარების საგნების წარმოება შესწყდა

ჟენევა, 31 ოქტომბერი (საკადესი). ჰიტლერული გაზეთი „ნაციონალ ციეტუნგი“, რომელიც ესენში გამოდის, სწერს, რომ [illegible] ერი იერიშებით დარღვეული სამხედრო წარმოება „შეიძლება აღდგენილ იქნას მხოლოდ ფართო მოხმარების საგნების წარმოების შეწყვეტის ხარჯზე“. სამხედრო საწარმოთა ახალ

ჰიტლერელებს უცხოელი მუშებისა ეშინიათ

სტოკჰოლმი, 31 ოქტომბერი (საკადესი). გაზეთი „ბერლინერ ბერზენციატუნგი“ აღნიშნავს, რომ იმ უცხოელ მუშათა უმრავლესობა, რომელნიც ამჟამად გერმანიაში მუშაობენ, „განიცდის ანტიგერმანული აგიტაციის წამოქეზებელ გავლენას, რომელიც მათ გერმანიის

მდგომარეობა ჩრდილოეთ იტალიაში

ნიუ-იორკი, 31 ოქტომბერი (საკადესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ გადმოგცემს, ათასობით იტალიელი სამხრეთ იტალიაში გარბის ჩრდილოეთ იტალიიდან. ვერონაში იტალიელ ჯარისკაცები, რომელნიც ყაზარმებში გამაგრდნენ, ორი დღის განმავლობაში უწევდნენ წინააღმდეგობას ჰიტლერელებს, სანამ საომარი მასალა არ გამოელათ. 300 იტალიელი ჯარისკაცი რკინიგზის სადგურ

იაპონიის პარლამენტის საგანგებო 83-ე სესია

ტოკიო, 31 ოქტომბერი (საკადესი). დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგცემს, რომ იაპონიის პარლამენტის საგანგებო 83-ე სესიამ მოიწონა ომიანობის დროის 14 კანონპროექტი და 3 კანონპროექტი ბიუჯეტის შესახებ.

მიღებულია აგრეთვე კანონი საჭურვლის მწარმოებელი კომპანიების შესახებ. ამიერიდან ყველა ეს კომპანია მთავრობის მითითებებს

შინაგან სიძნელეთა გამწვავება ჰიტლერულ გერმანიაში

ლონდონი, 1 ნოემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ციურახელი კორესპონდენტი გადმოგცემს, გერმანიაში სწრაფად ვრცელდება ომისსაწინააღმდეგო განწყობილება. შვეიცარიული პრესის ცნობით, ამ ცოტა ხნის წინათ „დამარცხების განწყობილებისათვის“ სიკვდილი მიუსაჯეს ათ კაცს. მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია ადამიანებისა, რომელნიც იმავე მიზეზით სამართალში არიან მიცემულნი და სხვადასხვა სასჯელი აქვთ მისჯილი. გერმანიის ჯარების დამარცხებანი რუ-

ჯ. მანუილსკი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს მესამედ ვხვდებით გერმანელ ფაშისტს დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის პირობებში.

მაგრამ ამ წლისთავს ახლა სხვა სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ვხვდებით, ვიდრე წინა ორ წელიწადს ვხვდებოდით.

გასული წელი წითელი არმიის უდიდეს გამარჯვებათა წელი, ომის მსვლელობაში გადამწყვეტი მობრუნების, ჩვენს სამშობლოს ფარგლებიდან გერმანელთა მასობრივი განდევნის წელი იყო.

წითელი არმიის შეტევა გასულ წელს საერთო ანგარიშით 8 თვეს გრძელდება.

ახლანდელი ომის მსვლელობაში არც ერთ არმიას არ უწარმოებია ასე ხანგრძლივად შეტევითი ოპერაციები.

1941 წელს გერმანელები ახალი ძალებით გვიტევდნენ 5 თვეს.

1942 წელს—3 თვეს.

1943 წელს—10 დღეს.

წითელი არმიის შეტევა ვითარდება 1.000 კილომეტრზე გაცილებით მეტი სიგრძის უზარმაზარ ფრონტზე.

ცნობილია, რომ გერმანელებს ასეთი მასშტაბის შეტევის წარმოების უნარი შესწევდათ მხოლოდ 1941 წელს.

1942 წელს ისინი შეტევას აწარმოებდნენ 350 კილომეტრიან ფრონტზე.

1943 წელს მათ სცადეს შეტევა ფრონტის განსაზღვრულ, რამდენიმე ათეულ კილომეტრიან უბანზე, მაგრამ ეს ცდა ბარცხით დამთავრდა.

მარტო ამ ციფრებისა და ფაქტების შედარება ცხადჰყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე ომის მსვლელობაში მომხდარ ძირფესვიან ცვლილებას, წითელი არმიის დარტყმითი ძალის ზრდას და გერმანიის არმიის შეტევითი უნარის დაცემას, რაც თანდათანობით მატულობს, აგრეთვე მისი რეზერვების გამოფიტვას.

ასეთი ხანგრძლივი შეტევა ასეთ გრძელ ფრონტზე მოწმობს არა მარტო წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა სიმტკიცეს, შეუპოვრობას, ამტანობასა და გმირობას, არამედ წითელი არმიის უხვად აღჭურვასაც იარაღითა და საომარი მასალით.

სტალინგრადის რაიონში განცდილი დამარცხების შემდეგ გერმანელებისათვის უმძიმესი ლახვარი იყო მათი შეტევის ჩაშლაც ამა წლის ზაფხულში.

ამ დიდი ბრძოლის შედეგმა დაადასტურა ის უდავო ფაქტი, რომ საომარი ოპერაციების ინიციატივა მტკიცედ გადავიდა წითელი არმიის ხელში, რომ გერმანელები თავდაცვაზე უნდა გადავიდნენ, რომ წითელი არმიის დარტყმების შედეგად მან უნდა დასტოვონ რუსეთის მიწა-წყალი.

საჭიროა აღინიშნოს დიდი მნიშვნელობის მქონე კიდევ ერთი ფაქტი.

გასულ წელს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, განადგურებულ, მოსპობილ და ტყვედ წამოყვანილ იქნა ჰიტლერის ვასალიბის—რუმინეთის, იტალიისა და უნგრეთის არმიები, რომლებიც აქ იყვნენ გადმოყვანილი.

ჰიტლერის დაქირავებულთა 38 დივიზიამ შესწყვიტა არსებობა.

წითელმა არმიამ ოსტატური დარტყმით დაანჩარა იტალიის, რუმინეთისა და უნგრეთის სამხედრო დაუძლურება და დასაწყისი მისცა ჰიტლერის კოალიციის დაშლას ევროპაში.

წითელი არმიის წარმატებათა შედეგად განთავისუფლებულია ჰიტლერელ არამზადათა მიერ დაპყრობილი საბჭოთა მიწა-წყლის თოთქმის ორი მესამედი.

წითელი არმია შემოდგომაზე ამსხვრევს თავდაცვის ხაზს დნეპრზე, რომელსაც გერმანიის სარდლობა თავის არმიას ზამთრისათვის უმზადებდა. და განაგრძობს გერმანელ დამპყრობთა განდევნას საბჭოთა მიწა-წყლიდან. წითელი არმიის წარმატებათა შედეგად საფუძვლიანად იქნა შერყეული გერმანიის არმიის რწმენა, რომ ომი მისთვის ხელსაყრელად დამთავრდებოდა.

გერმანელი ჯარისკაცები ერთმანეთს ეუბნებიან: რუსები ასე რომ გვერტყამენ და ასე რომ გვერეკებიან ზაფხულში, ზამთარში რაღა იქნება.

ასეთია გასული წლის ზოგიერთი სამხედრო შედეგები.

რა არის წითელი არმიის გამარჯვებათა წყარო?

1942 წლის 23 თებერვლის ბრძანებაში ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ახლა ომის ბედს გადაწყვეტს არა ისეთი მეორეხარისხოვანი მომენტი, როგორიცაა უეცრობის მომენტი, არამედ მუდმივ მოქმედი ფაქტორები: ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება, არმიის უფროსთა შეშადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი“.

წითელი არმია ამჟამად სწყვეტს ომის ბედს ჩვენს სასარგებლოდ სასწრაფობრ იმიტომ, რომ ეს მუდმივად მოქმედი ფაქტორები ჩვენს მხარეზე აღმოჩნდა.

ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლის ბრძნული წინდახედულის მეოხებით ომის გადამწყვეტი ფაზის მომენტისათვის ჩვენ საკმაო რაოდენობით აღმოგვაჩნდა დივიზიები იმისათვის, რომ მთელი რიგი დიდი დამარცხებანი გვეგემებინა გერმანიის ტოტალურად მობილიზებული ფაშისტური არმიისათვის.

იმის მეოხებით, რომ მებრძოლები და მეთაურები განუხრელად ასრულებდნენ ამხანაგ სტალინის ბრძანებას იმის შესახებ, რომ საჭიროა საბრძოლო სწავლების განუწყვეტლივ სრულყოფა, თანამედროვე იარაღის დაუფლება, ომის გამოცდილების შეთვისება, ჩვენი დივიზიები უფრო მაღალი ხარისხისა აღმოჩდნენ, ვიდრე გერმანიის ყოყოჩა მხედრობა.

წითელ არმიას თავი არ შეურცხვენია თავისი შეიარაღების რაოდენობისა და ხარისხის მხრივაც.

ჩვენი შეიარაღება ნაქებ გერმანულ შეიარაღებაზე არა თუ უარესი, არამედ უკეთესი აღმოჩნდა.

განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ მორალური სულისკვეთება ჩვენი არმიისა, რომელსაც შეგნებული აქვს ჩვენი წმიდა სამამამულო ომის მაღალი, სამართლიანი მიზნები, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეედაროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ბანდიტურ სულისკვეთებას.

მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ ჩვენი არმიის გენერალიტეტი და ოფიცერთა შემადგენლობა.

ბრძოლების ქარცეცხლში გაიზარდა სახელოვანი პლეადა ნიჭიერი სტალინური მხედართმთავრებისა, რომლებსაც შესწევთ უმაღური ბრწყინვალედ განახორციელონ უმაღლესი მთავარსარდლობის დიადი განზრახვანი.

დიდია ჩვენი ზურგის როლი წითელი არმიის წარმატებებში.

ჩვენს საბჭოთა ზურგს მაღალი შეფასება მისცა ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ თავის მოხსენებაში.

გვიჩვენა რა საბჭოთა ზურგის მთელი მრავალფეროვანი მუშაობა დიდი სამამულო ომის პერიოდში, ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ქვეყანას ასეთი მტკიცე და ორგანიზებული ზურგი ჯერ კიდევ არასოდეს არა ჰქონია“.

ჩვენი ზურგი განსაკუთრებული ზურგია.

იგი არა მარტო ზურგს ამაგრებს წითელ არმიას, იგი ცოცხლობს და მოქმედებს დროებით ოკუპირებულ რაიონებში, მტრის ზურგს უკან.

ეს ზურგი არ დამორჩილებია მტერს, იგი ებრძვის მას.

რაც უფრო მეტია წითელი არმიის წარმატებანი, მით უფრო ახლოს ვართ ჩვენი წმიდა მიწა-წყლიდან მტრის განდევნასთან, სახალხო შურისმგებელთა მით უფრო დიდი მასები ემატებიან პარტიზანული რაზმების რიგებს.

ჩვენი ზურგი განსაკუთრებულია, იმიტომ რომ იგი სოციალისტური ზურგია, მასზე გავლენას არ ახდენენ პირადი გამდიდრებისა და ხელის მოთბობის კერძო ინტერესები, რომლებიც შეუთავსებელია ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ხასიათთან.

სამშობლოს ინტერესები უმაღლესი კანონია საბჭოთა ადამიანებისათვის.

ჩვენი ზურგი განსაკუთრებულია, იმიტომ რომ მას, როგორც ჩვენს ფრონტსაც, ახასიათებს ხალხთა სტალინურ მეგობრობაზე დაფუძნებული საერთო-ნაციონალური სოლიდარობა.

იგივე ურთიერთდახმარება, იგივე ურთიერთ მიშველება ბრძოლაში, რომელიც ესლოდენ დამახასიათებელია ჩვენი ფრონტისათვის, შეადგენს ჩვენი ზურგის განუყოფელ თვისებას.

ისევე, როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა მონაწილეობდა სტალინგრადის დაცვაში, სწორედ ასევე მონაწილეობს იგი მის აღდგენაშიც.

ჩვენი ზურგი განსაკუთრებულია კიდევ იმიტომ, რომ ფრონტზე ჩვენი მებრძოლების და ზურგში საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმს აქვს უღრმესი ფესვები როგორც ნაციონალური, ისე სოციალური.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია განუყოფელია რუსი ხალხის და სსრ კავშირში მოსახლე სხვა ხალხების მთელი დიადი წარსულისაგან. მხოლოდ იმ ხალხს, რომელმაც ჩუდის ტბაზე დაამარცხა ქოფაკი რაინდები, რომელმაც კულიკოვოს ველზე გაანადგურა მონღოლი ხანები, რომელმაც ბოროდინოსთან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ნაპოლეონს, შეეძლო მოეხდინა ისეთი დიდი სოციალური რევოლუცია, როგორიც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია იყო.

და მხოლოდ ამ რევოლუციის მომხდენ ხალხს შეეძლო ეგემბინა ესოდენ მრისხანე დარტყმები ისეთი იმპერიალისტურ-მილიტარისტული ურჩხულისათვის, როგორიც ფაშისტური გერმანიაა, უზრუნველეყო ყველა პირობები მასზე საბოლოო გამარჯვებისათვის.

ჩვენმა გამარჯვებებმა გააადვილეს და მნიშვნელოვანწილად განაპირობეს ჩვენი მოკავშირეების წარმატებანი.

ეს წარმატებანი მცირე მნიშვნელობისა არიან.

ჩვენმა მოკავშირეებმა უპირველეს ყოვლისა შესძლეს ძლევამოსილად დაემთავრებინათ გერმანელ-იტალიელთა ჯარებისაგან მთელი ჩრდილოეთ აფრიკის გაწმენდის ოპერაცია.

მოკავშირეებმა დაიკავეს დიდი მნიშვნელობის მქონე კუნძულები — სიცილია, სარდინია, კორსიკა, პანტელერია.

უკანასკნელი კვირეების განმავლობაში მოკავშირეებმა დაიკავეს იტალიის ტერიტორიის ერთი მესამედი და ამჟამად რომის კარიბჭესთან დგანან.

მოკავშირეთა ავიაციის სულ უფროდაუფრო ინტენსიურმა თავდასხმებმა გერმანიაზე საგრძნობი ზარალი მიაყენეს გერმანიის სამხედრო მრეწველობასა და ტრანსპორტს და გზა გაუკაფეს ინგლის-ამერიკის ჯარებს წარმატებითი სადესანტო ოპერაციებისათვის კონტინენტზე.

ხანგრძლივი შესვენების მეოხებით, რაც მიიღეს იმის შედეგად, რომ წითელმა არმიამ თავისკენ მიიზიდა მოწინააღმდეგის ძირითადი ძალები, ჩვენმა მოკავშირეებმა შესძლეს შეექმნათ მრავალმილიონიანი სახმელეთო არმიები, გაედიდებინათ თავიანთი სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ფლოტი, გაეშალათ უდიდესი სამხედრო მრეწველობა.

გასულ წელს ახასიათებდა აგრეთვე ოკუპირებული ქვეყნების ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი აქტივიზაცია, განსაკუთრებით იუგოსლავიაში.

ერთი მხრივ წითელი არმიის გამარჯვებებმა და მეორე მხრივ ჩვენი მოკავშირეების წარმატებებმა, რაც ამ გამარჯვებებით იყო განპირობებული, გამოიწვია ის, რომ ჰიტლერული კოალიცია ევროპაში დაშლის ხანას განიცდის.

ჰიტლერული კოალიცია დაღუპვისაკენ მიდის.

მაგრამ ამ დაღუპვას მარტო დიპლომატიური, მანევრებით ვერ მოვაახლოებთ, რაგინდ ოსტატურიც უნდა იყოს ეს მანევრები.

მხოლოდ გადამწყვეტ საომარ მოქმედებას შეუძლია აიძულოს ვასალები გასწყვეტონ კავშირი გერმანიასთან და ამით დაამთავროს ჰიტლერული კოალიციის დამხობა.

იხრწნება ხრა მარტო ჰიტლერული კოალიცია.

თვით გერმანიაში სულ უფროდაუფრო იჩენს თავს ჰიტლერული ომითა და ჰიტლერული რეჟიმით სერიოზული უკმაყოფილების ნიშნები.

გერმანელები აგინებენ უკვე არა მარტო გაბღენძილ ღორ გერინგს, არა მარტო ფეხმრუდე ცრუპენტელა გებელსს.

ისინი თავს ნებას აძლევენ უკმაყოფილონი იყვნენ თავისი გაკოტრებული ფიუერერით, რომელსაც ისინი იმისათვის ლანძღავენ, რომ იგი მსოფლიო ბატონობას ჰპირდებოდათ, ნამდვილად კი უფსკრულის პირას მიიყვანა გერმანია.

აქედან წარმოსდგება ჰიტლერული ზედაფენის შიში შინაგანი ფრონტის წინაშე.

აქედან წარმოსდგა ჰიმლერის დანიშვნა შინაგან საქმეთა მინისტრად.

აქედან წარმოსდგება მუქარა, ანგარიშის გასწორება უკმაყოფილოებთან და დამარცხების მომხრეებთან.

აქედან წარმოსდგებოდა ჰიტლერის მთავარბანაკში ამას წინათ შემდგარი თათბირიც მის ჰაუსაიტერებთან, „სს“-ელთა მოიერიშე რაზმების შტაბების უფროსებთან უკმაყოფილოთა წინააღმდეგ ტერორის ახალი ტალღის მომზადების მიზნით.

აქედან წარმოსდგება ფაშისტ მეთაურთა შელოცვებიც 1918 წლის გაბმეორების წინააღმდეგ, მათი ყვირილი იმის შესახებ, რომ ყველაზე დიდი საფრთხე გერმანიისათვის თითქოს არის გერმანელი ხალხის მოწყვეტა ფაშისტური ხელმძღვანელობისაგან.

გახრწნის მატლი ღრღნის თვით ფაშისტურ პარტიასაც და მის მასობრივ ორგანიზაციებს, რომელთა შორის ფენებად დაშლა ხდება—ცალკე ფენად გამოიყოფიან ისინი, ვისაც დასაკარგავი არაფერი აქვს, და ცალკე ისინი, ვინც ფიქრობს როგორმე დროულად გაიპაროს ფაშისტური პარტიიდან.

ეს ზოგიერთ მხრივ უკვე იმას გვაგონებს, რაც იტალიის ფაშისტური პარტიის შიგნით ხდებოდა მუსოლინის დაცემამდე რამდენიმე თვით ადრე.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ეს პროცესი შესძლებს ისევე სწრაფად გამოიწვიოს ფაშისტური რეჟიმის დამხობა გერმანიაში, როგორც ეს იტალიაში მოხდა.

ჰიტლერული გერმანიის სწრაფი დამხობისათვის აუცილებელია ძლიერი, კოორდინირებული დარტყმები მის წინააღმდეგ არა მარტო აღმოსავლეთიდან, არამედ დასავლეთიდანაც.

მაშ რაზე ამყარებენ იმედს ჰიტლერელი მეთაურები?

ისინი იმედს ამყარებენ ანტიჰიტლერული კოალიციის შიგნით წინააღმდეგობათა გაღვივებაზე და უწინარეს ყოვლისა წინააღმდეგობებზე დიდ სახელმწიფოთა შორის, სსრ კავშირსა, ინგლისსა და ა. შ. შტატებს შორის. ისინი მთავარ იმედს იმაზე ამყარებენ, რომ მოკავშირენი ვერ შესძლებენ გამოიყენონ ამჟამად შექმნილი ხელსაყრელი ვითარება ევროპაში მეორე ფრონტის გახსნისათვის და [illegible] სწავლობენ [illegible] ომი, [illegible] ომამდე, [illegible] ომის, [illegible] მუშაობას, ცდილობდნენ [illegible] ომის, დაუდევრობის, დოყლაპიობის აღმოფხვრას.

მრისხანე იყო ის საფრთხე, რომელიც ჩამოაწვა 1941 წლის 22 ივნისს ჩვენს [illegible] ლოს, ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენი საბჭოთა ხალხის მთელ მომავალს.

მძვინვარე მტერი მაშინ თავისი ძლიერებით ზენიტში იყო.

მან გაანადგურა საფრანგეთი, მან მოაბრძანა ბელგიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, იუგოსლავიის, საბერძნეთის და ევროპის მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების ოკუპაცია.

მისი არმია სავსებით მობილიზებული იყო.

იგი დაიძრა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ თავის ევროპელ ვასალებთან ერთად.

მის მხარეზე იყო უპირატესობა — თავდასხმის უეცრობა.

მას რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა ტანკებისა და თვითმფრინავების მხრივ.

იგი საბჭოთა ქვეყნისაკენ მოეშურებოდა უტიფრად თვითდარწმუნებული, რომ ელვისებურ გამარჯვებას მიაღწევდა.

და როდესაც ვერაგი მტერი მუხანათურად შემოიჭრა ჩვენი სამშობლოს საზღვრებში, საბჭოთა ხალხმა იმედითა და ღრმა რწმენით მიაპყრო თვალი ამხანაგ **სტალინს.**

პარტიამ და ხალხმა იცოდნენ, ვის მიანდეს საბჭოთა ქვეყნის ბედ-იღბალი კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი გარდატეხის ეპოქაში, მრისხანე ამბებითა და საფრთხით აღსავსე ეპოქაში.

ამხანაგ **სტალინის** პიროვნებაში ერთიანოლად შეხამებულია ღრმა მოაზროვნის, ძლევამოსილი ორგანიზატორის, ბრძენი სახელმწიფო მოღვაწისა და დიდი მხედართმთავრის გენიალური თვისებები.

მისი შემოქმედებითი აზრი საშუალებას აძლევდა და აძლევს მას ყოველ მოცემულ ეტაპზე ფეხიზლად შეაფასოს ძალთა თანაფარდობა და კონკრეტული ვითარების თავისებურებანი, წინასწარ განჭვრიტოს ისტორიულ მოვლენათა მსვლელობა და აქტიური გავლენა მოახდინოს მასზე.

მისმა როგორც ორგანიზატორის რკინისებურმა ნებისყოფამ უზრუნველჰყო მთელი ჩვენი ქვეყნის გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე.

მისი სახელმწიფოებრივი სიბრძნე უზრუნველჰყოფდა და უზრუნველჰყოფს სსრ კავშირისათვის ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებს მტერზე გამარჯვების მისაღწევად.

მისმა როგორც მხედართმთავრის შეუდარებელმა თვისებებმა, რომლებშიც ხორცშესხმულია გამჭრიახი—კუტუზოვისებური სიფრთხილე და შეუკავებელი სუვოროვისებური სისწრაფე, გარდატეხა შეაქნინეს ომის მსვლელობაში და შესაძლებლობა მისცეს წითელ არმიას მეორე ფრონტის არარსებობის პირობებშიც კი ანადგუროს ისეთი ძლიერი მტერი, როგორიც არის გერმანია, რომელიც ისტორიის მანძილზე დამარცხებებს განიცდიდა მხოლოდ ორი ან რამდენიმე ფრონტის არსებობის დროს.

და თუ მტერი დღეს შაშით შეაყრიდნენ მიექანება უკან, თუ გამარჯვების სუნთქვას დღეს ყოველი საბჭოთა ადამიანი გრძნობს, ამას ჩვენი ხალხი უნდა უმადლოდეს უწინარეს ყოვლისა წითელ არმიას და მის [illegible] მარშალს ამხანაგ **სტალინს.**

სიტყვით ვერ გამოხატავ, თუ რა იყო, რას და იქნება საბჭოთა ხალხისათვის ამხანაგი **სტალინი.**

განუზომელია ხალხის სიყვარული მისდამი.

ამხანაგ **სტალინის** სახელით აღფრთოვანებულნი მიდიან ბრძოლაში და იმარჯვებენ წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები.

ამხანაგ **სტალინის** სახელით აღფრთოვანებული სუფდს იარაღს ჩვენი მტაც�დ საბჭოთა ზურგი.

ამხანაგ **სტალინის** სახელით აღფრთოვანებული მიდის საბჭოთა ხალხი საზიზღარ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისაკენ!

გაუმარჯოს გამარჯვებას!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** ბრძენ პარტიას!

გაუმარჯოს ძლიერ, საუკუნეებში დიად საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს მშობლიურ, საყვარელ ამხანაგ **სტალინს!**

ფეხბურთი

მოსკოვის და თბილისის დინამოელთა შეხვედრა

31 ოქტომბერს ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის და თბილისის დინამოელ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშის დაწყებისთანავე მოსკოველები გამუდმებით უტევდნენ თბილისელთა კარს, მაგრამ მეკარე ტყეტუჩავამ ზედიზედ აიღო რამდენიმე ძნელი ბურთი. მე-12 წუთზე მსაჯმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა დანიშნა თბილისელების სასარგებლოდ. დაარტყა ბერძენიშვილმა და ბურთი მოსკოველების ბადეში გახვია.

მეორე ტაიმში მოსკოველმა ტროფიმოვმა მე-13 წუთზე გაიტანა პირველი ბურთი. ერთი წუთის შემდეგ თბილისელი პანიუკოვი გაიჭრა მოსკოველთა კარებისაკენ და გაიტანა ბურთი. 31-ე წუთზე პაიჭაძემ საჯარიმო ბურთი გაგუას მიაწოდა და გაგუამაც იგი ბადეში შეაგდო. კიდევ ერთი ბურთი გაიტანა თბილელმა პანიუკოვმა.

მატჩი დასრულდა თბილისელების გამარჯვებით 4:3.

ჰ. ი. ჩაიკოვსკისადმი მიძღვნილი საღამო

3 ნოემბერს თბილისის მუსიკალური ათწლედი ჩაატარებს საღამოს დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ი. ჩაიკოვსკის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავად. პროგრამაში: მოხსენება პ. ი. ჩაიკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ (პედაგოგი ქ. ფ. ლორთქიფანიძე) და კონცერტი ათწლედის მოწაფეთა ძალების მონაწილეობით.

დასაწყისი 7 საათზე.

ლექციები და მოხსენებები

2 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ქ. ქ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) პროპაგანდისტებისა და მომხსენებლებისათვის შესდგება ამხ. გეგეშიძის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„ბოლშევიკების პარტია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში“** (1917 წ. აპრილი—1918 წ.).

პასუხისმგებელი რედაქტორის
მოადგილე **ბ. ჯიბლაძე**

თეატრებში

2 ნოემბერს: **სახოპერა**—„პატარა კახი“. **რუსთაველის**—„ღალატი“. **მარჯანიშვილის**—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. **გრიბოედოვის**—„თივა და ავი ძაღლი“. **სომხური**—„ლურჯი მანდილი“. **აზერბაიჯანული**—„არშინმალ-ალან“.

კინოებში

რუსთაველის სახ.—„ჰაერის მეეტლე“. **ოქტომბერი**—„ნასრედინი ბუხარაში“. **დამკვრელი**—„მიგდებული ბაგეში“. **კომკავშირელი**—„ის იცავს სამშობლოს“. **სპარტაკი**—„მისია მოსკოვში“. **ლუქსემბურგის სახ.**—„სახალხო შურისმგებლები“

ამ დღეებში
კინოთეატრებში რუსთაველის სახ. და **ოქტომბერი**
დიდი ისტორიული ფილმი
თბილისის კინოსტუდიის
ნაწარმოები
„გიორგი სააკაძე“
მეორე სერია
სცენარი სტალინური პრემიის ლაურეატის **ა. ანტონოვსკაიასი** და **ბ. ჩორნისა.**
დადგმა სტალინური პრემიის ლაურეატის **მიხეილ ჭიაურელისა,** ოპერატორი **ა. დიმელოვი,** რეჟისორები **შ. გედევანიშვილი, ნ. სანოვი,** მხატვრები **მ. გოცირიძე, რ. მირზაშვილი, მამალაძე:** კომპოზიტორი საქ. სსრ. ხელოვ. დამსახ. მოღვაწე **ა. ბალანჩივაძე,** მთავარ როლებში:

სტალინური პრემიის ლაურეატი, სსრკ სახალხო არტისტი **ა. ხორავა,** სსრკ სახალხო არტისტი **ა. ვასაძე,** საქ. სსრ. სახ. არტისტი **ვ. ანჯაფარიძე,** სტალინური პრემიის ლაურეატი **ს. ბალაშვილი,** საქ. სსრ დამსახურებული არტისტი **ს. ზაქარიაძე,** საქ. სსრ სახ. არტისტი **გ. დავითაშვილი,** მსახიობები **ლ. ასათიანი, კ. დაუშვილი.**
ხვალიდან, 3 ნოემბრიდან, კინოთეატრებში სპარტაკსა და დამკვრელში
დემონსტრირებული იქნება კინოფილმ **გიორგი სააკაძის** პირველი სერია.

**რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28.